


8.5. გვეხმარება მათემატიკა

წარმოგიდგინოთ, რომ დავიწყეთ ერთეულოვანი მუხტის გადატანა. საწყისი წერტილი Q მუხტიდან r მანძილზე იმყოფება. შეგვიძლია ეს ოპერაცია ნაბიჯნაბიჯ განვახორციელოთ. დაშორებისას, ყოველ Δr ნაბიჯზე, $1/r^2$ კანონით შესუსტებული ძალა $k \cdot Q \cdot \Delta r / (r + n \cdot \Delta r)^2$ მუშაობას შეასრულებს. $n \cdot \Delta r$ - მანძილია საწყისი წერტილიდან, n - გავლილი ბიჯების რაოდენობაა. პოტენციალი φ წარმოგიდგება როგორც ყველა ბიჯზე შესრულებულ მუშაობათა ჯამი:

$$\varphi = A_\infty = k \cdot Q \cdot \Delta r \sum_1^\infty 1/(r + n \cdot \Delta r)^2.$$

ამ ჯამის პირველი წევრები წარმოდგენილია ნახატ 8.5.1 - ზე. რაც უფრო მცირეა ბიჯი და მეტია შესაკრებთა რაოდენობა - მით უფრო ახლოს მივალთ პოტენციალის მნიშვნელობასთან. მათემატიკა ამისათვის გვთავაზობს ზღვარის ცნებას. ჯამის წევრთა რაოდენობის უსასრულოდ გაზრდით ჩვენ ნებისმიერი სასურველი სიზუსტით ვუახლოვდებით პოტენციალის სასრულ მნიშვნელობას. გეომეტრიული თვალსაზრისით, პოტენციალის გამოთვლისას ჩვენ ვითვლით ფართს, რომელიც შემოსაზღვრულია პორიზონტული დერძით და მუშაობის განმსაზღვრელი ფუნქციის მნიშვნელობებით.



განხილული მიდგომა წარმოადგენს კლასიკური მათემატიკის ერთერთ ფუნდამენტურ მიდგომას, რომელიც ცნობილია უსასრულოდ მცირე სიდიდეთა ანალიზის, ან მათემატიკური ანალიზის სახელით. განხილული ჯამი ინტეგრალის, ხოლო პროცედურა - ინტეგრალის* ცნებას უკავშირდება. ინტეგრალის, ანუ ჯამის სასრული მნიშვნელობის არსებობა, მათემატიკის მეთოდებით უნდა დამტკიცდეს ფუნქციის თვისებებიდან გამომდინარე.

პოტენციალის შემთხვევაში მათემატიკა გვაძლევს შედეგს:

$$\varphi = A_\infty = k \cdot Q / r,$$

ანუ მტკიცდება, რომ პოტენციალს გააჩნია სასრული მნიშვნელობა, და ელექტროსტატიკური ველის ნებისმიერი წერტილიდან ერთეულოვანი მუხტის უსასრულობაში გადატანის დროს სრულდება მუშაობა, რომელიც განისაზღვრება ამ ფორმულით.

* მსგავსი პროცედურა ჩვენ განვახორციელეთ ველის დამაბულობის ნაკადის გამოთვლის დროს. ზედაპირი დაგჭავით ელემენტარულ ნაკვეთებათ. ეს ნაჩვენებია 8.3.2 ნახატზე.

შეგვიძლია უფრო ზოგადი განმარტება შემოვიდოთ - ნებისმიერი სიდიდის სასინჯი მუხტი განვიხილოთ:

$$k \cdot 1 \cdot Q/r = k \cdot (q/q) \cdot Q/r = A_\infty / q.$$



მაშინ გვექნება განმარტება

$$\varphi = A_\infty / q.$$

8.5.2 ნახატზე ნაჩვენებია რამდენად სწრაფად მცირდება კულონის ძალა, როდესაც ვშორდებით ცენტრალურ Q მუხტს. მოცემულია ბიჯების რაოდენობა და ფუნქციის მნიშვნელობა. 8.5.3 ნახატზე ნაჩვენებია კულონის ძალის და პოტენციალის ცვლილების ფუნქციები.


“ყოვლისშემძლე” სუპერპოზიციის პრინციპი გვკარნახობს კიდევ ერთ კანონზომიერებას:

$$\varphi = \varphi_1 + \varphi_2 + \varphi_3 + \dots .$$



ეს ნიშნავს, რომ მუხტთა სისტემის პოტენციალი ცალკეულ მუხტთა პოტენციალების ჯამის ტოლია. თუ მუხტთა სისტემა საკმარისად მარტივია, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, გამოვთვალოთ და გამოვყოთ მის გარშემო არსებული ერთნაირი პოტენციალის მქონე ზედაპირები, ანუ მუხტების გარშემო არსებული ზედაპირები, რომლებდან ერთეულოვანი სასინჯი მუხტის უსასრულოდ შორს გადატანისას ერთი და იგივე მუშაობა სრულდება. ასეთ ზედაპირებს უწოდებენ ეკვიპოტენციალურ ზედაპირებს, ანუ ტოლი პოტენციალის მქონე ზედაპირებს. 8.5.4 ნახატზე ნაჩვენებია მუხტთა სისტემის

რამდენიმე მაგალითი. აქ ჭრილში წარმოდგენილია ძალწირები და ეკვიპოტენციალური ზედაპირების ჭრილები.



8.5.4

Q მუხტის პოტენციალის ცნების შემოდება კიდევ ერთ ცხად შედეგს იძლევა. თუ სასიჯი q მუხტი ერთი წერტილიდან (1) მეორეში (2) გადაადგილდა, ამ Δl მონაკვეთზე შესრულებული მუშაობა წერტილების პოტენციალთა სხვაობის ტოლია:

$$\Delta A_{12} = q(\varphi_1 - \varphi_2) = q\Delta\varphi.$$

თუ გავიხსენებთ, რომ

$$A = F \cdot \Delta l \cdot \cos\alpha = E \cdot q \cdot \Delta l \cdot \cos\alpha = E_l \cdot q \cdot \Delta l,$$

მივიღებთ

$$\Delta A_{12} = q \cdot \Delta\varphi = E_l \cdot q \cdot \Delta l,$$

ანუ

$$E = \Delta\varphi / \Delta l.$$

თუ უსასრულოდ შევამცირებთ Δl გადაადგილებას, უსასრულოდ შემცირდება პოტენციალთა სხვაობაც. აქაც უსასრულოდ მცირე სიდიდეთა ანალიზი მუშაობს. ეს φ ფუნქციის გაწარმოების მათემატიკური ოპერაციაა. $1/r$ ფუნქციის გაწარმოების შედეგი – წარმოებული, ახალი ფუნქციაა, რომელსაც აქვს სახე $-1/r^2$. წარმოებულის “-” ნიშანი მიუთითებს, რომ არგუმენტის, ჩვენ შემთხვევაში რადიუსი r , იწვევს ფუნქციის კლებას, $1/r$ ნამდვილად კლებულობს.

ამგვარად, ელექტრული მუხტის ველის პოტენციალის ცნება იმდენად ზოგადი და ფუნდამენტური აღმოჩნდა, რომ მისგან ველის ყველა სხვა თვისება გამომდინარეობს, მათ შორის კულონის კანონიც, რომელიც უშუალოდ ექსპერიმენტი ვლინდება

$$F = E \cdot q.$$

სუპერპოზიციის პრინციპის გამო, მუხტოა სისტემა შესაძლებელია პოტენციალის ცნებიდან გამომდინარე სრულად აღიწეროს.


ჩამოვწეროთ ამ თავის ცნებები და საბოლოო ფორმულები:

$$\begin{array}{ll} \varphi \text{ პოტენციალის ცნება} & \varphi = A_\infty = k \cdot Q / r \\ E \text{ ველის დაძაბულობის ცნება} & E = -k \cdot Q / r^2 \\ F \text{ კულონის ძალა} & F = -k \cdot q \cdot Q / r^2 \end{array}$$

არ დაგვავიწყდეს, რომ გვაქვს ორი სახის მუხტი, და ძალა შესაძლებელია მიზიდვის ან განზიდვის იყოს. დადებითი “+” და უარყოფითი “-” მუხტის ცნება შემოიღო ბენჯამინ ფრანკლინმა (*Benjamin Franklin*). მაგალითად, ხახუნის შედეგად მინა და ქარვა სხვადასხვა ნიშნის მუხტით იმუხტება. რომელ მუხტს

რა დავარქვათ – შეთანხმების საქმეა. ითვლება რომ ქარვა უარყოფითი მუხტის მატარებელია. მის მიმართ შესაძლებელია მუხტების ნიშნების განსაზღვრა.


კონსპექტის ამ, მერვე თავში ჩვენ მხოლოდ ოდნავ შევეხეთ ელექტრობის ფიზიკის და მათემატიკის ფუნდამენტურ ცნებებს. მოწოდებული ინფორმაცია საქმარისია იმისათვის, რომ იგრძნოთ წარმოდგენების სილრე და დარწმუნდეთ, რომ ელექტრული მოვლენების სამყარო სრულ გააზრებას, ზუსტ ფორმალურ მათემატიკურ აღწერას და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას ექვემდებარება. კულონის ძალა ერთერთია დღეისათვის მეცნიერებისათვის ცნობილი ფუნდამენტური ურთიერთქმედების ოთხი ძალიდან*. ამ ძალის “ქცევა” ძალიან გავს მიზიდულობის (გრავიტაციის) ძალის ქცევას - პოტენციალი ისეთივე $1/r$ კანონზომიერებით ხასიათდება, ძალა კი მსგავსი ფორმულით გამოისახება:



$$F = \gamma \frac{m_1 m_2}{r^2}. \quad \gamma - \text{გრავიტაციული მუდმივა.}$$


მუხტის, შეგვიძლია ვთქვათ, ანალოგი – მასა, მხოლოდ ერთი მიმართულებით ურთიერთქმედებას განსაზღვრავს, მიზიდულობას. ელექტრული მოვლენების შესწავლით ადამიანმა პირველი ნაბიჯები გადადგა მაკროსამყაროს მოვლენათა შესწავლაში, ხოლო გრავიტაციული მოვლენების შესწავლით პირველი ნაბიჯები მაკროსამყაროს შესწავლაში.

გრავიტაციის კვლევის შემთხვევაში ექსპერიმენტულ, კვლევით “ლაბორატორიას” წარმოადგენდა მზის სისტემა, ელექტრული მოვლენების შემთხვევაში – კულონის მიერ შექმნილი ე.წ. გრეხითი სასწორი, ანუ კულონის სასწორი.



ისაკ ნიუტონი 1643-1727

მსოფლიო მიზიდულობის კანონი ისაკ ნიუტონმა გამოიყვანა მზის გარშემო პლანეტების მოძრაობის დაკვირვებით დადგენილი ე.წ. კეპლერის კანონების ანალიზის საფუძველზე. იოპან კეპლერმა ეს კანონები გამოიიყვანა სხვა მკვლევარის – ასტრონომ ტიქო ბრაგეს პლანეტების მოძრაობის დაკვირვების მონაცემების საფუძველზე.



ნიუტონმა პირველმა ჩამოაყალიბა ე.წ. სამეცნიერო მეთოდის პრინციპები, რომლებსაც ყოველი მეცნიერი მიყვება თავის კვლევით საქმიანობაში: ჯერ საგანთა თვისებების ბეჯითი შესწავლა დაკვირვებების და ექსპერიმენტების საფუძველზე, ხოლო შემდეგ თანდათანობითი თანმიმდევრული წინსვლა პიპოთეზებისაკენ, რომლებიც ხსნიან ამ თვისებებს. პიპოთეზა სასარგებლოა თვისებების ასახსნელად, მაგრამ არ არის აუცილებელი დავავალოთ პიპოთეზას აგვისხნას ექსპერიმენტის გარეთ მყოფი თვისებები. თუმცა


* გრავიტაციული ურთიერთქმედება, ელექტრომაგნიტური ურთიერთქმედება, ძლიერი ბირთვული ურთიერთქმედება, სუსტი ბირთვული ურთიერთქმედება.

ექსპერიმენტის და დაკვირვების ანალიზით მიღებული შედეგები თავისთავად არ იძლევიან საბოლოო და ზოგად დასკვნებს, ეს გზა მაინც საუკეთესოა გავაკეთოთ დასკვნები რომლებიც დაშვებულია საგანთა არსით. ეს ნიუტონის რამდენიმე მოსაზრების თავისუფალი თარგმანია.



შარლ კულონი 1736-1806

ძაფი 1; ლერო 2; გამტარი ბურთულები 3, და 4; სკალები 5 და 6. ბურთულა 4 თავსდება სასწორში. 3 და 4 ბურთულის კულონის ურთიერთქმედება იწვევს ძაფის გრეხვას. გრეხვის ძალა გამოითვლება ძაფის ზომების, დრეკადობის მახასიათებლების და სკალებიდან აღებული ანათვლების საფუძველზე.




9. ელექტრობის კანონები – ელექტრული დენი


9.1 ომის კანონი

როგორც დავრწმუნდით, საკმარისი ცოდნა გაგვაჩნია იმისათვის, რომ ავღწეროთ ელექტრული მოვლენები როგორც ცალკეული მუხტების ერთობლიობაში მიმდინარე მოვლენები. ეს ცოდნა ეხებოდა ელექტრული მოვლენების პრინციპულ, ფუნდამენტურ მხარეებს. მაგრამ მრავალ ბუნებრივი მოვლენაში და ელექტრობის ტექნიკურ რეალიზაციაში უამრავი მუხტი მოქმედებს. მიუხედავად ჩვენი ცოდნისა, წარმოუდგენელია ასეთი სისტემების აღწერა მუხტების სუპერპოზიციით. ბუნებრივია სხვა ხერხებს უნდა მივმართოთ.


წინა თავის დასაწყისში ჩვენ განვიხილეთ მუხტის დაგროვების რამდენიმე ექსპერიმენტი. როდესაც ვმუხტავდით ელექტრომეტრს ან ვეხებოდით თითოთ მის ელექტროდს, მუხტი გადადიოდა ელექტროდზე კოკტეილის ჩხირიდან, ან ჩვენზე გადმოდიოდა ელექტროდიდან. ამრიგად ორ მოვლენასთან გვაქვს საქმე – შეგვიძლია მუხტი დავაგროვოთ სხვადასხვა ზედაპირზე ან მოცულობაში და გადავცეთ ერთი მოცულობიდან მეორეში. ისმის შეკითხვა – რა თვისება ან კანონზომიერება ახასიათებს ამ პროცესს.



9.1.1



9.1.2



9.1.3

ნახაგ 9.1.1-ზე ნაჩვენებია მარტივი ექსპერიმენტული მოწყობილობა, რომელიც შეგვიძლია მრავალი მოვლენის მოდელად წარმოვიდგინოთ. ორი რეზერვუარი

შეერთებულია მილიონ, რომელშიც ერთი რეზისუარიდან მეორეში მოწესრიგებულად “გადაედინება” რაღაც თვისებების მქონე რეალობის ელემენტი. ეს შეიძლება იყოს წყალი, ელექტრული მუხტი, ინფორმაცია, ფულადი “მასა” და სხვა.

თუ “შეიარაღდებით” წამზომით და დაიწყებთ ამ მარტივი ექსპერიმენტის ზოგადი თვისებების შეფასებას, ნახავთ, რომ ცარიელი რეზისუარის შევსების სიჩქარე ნელნელა კლებულობს და პროცესი ჩერდება, როდესაც სითხის დონეები ერთმანეთის ტოლო ხდება. რაც უფრო დიდია დონეების საწყისი სხვაობა – უფრო დიდია გადადინების პროცესის საწყისი სიჩქარე. თუ მილს გადაკეტავთ – პროცესი შეჩერდება. პირველად მდგომარეობასთან შედარებით შევიწროვებული მილი პროცესს შეანელებს.


ეს თვისებები თითქმის თავიდანვე ნათელია, მაგრამ თუ გვინდა ზუსტი რიცხვითი დახასიათება, პროცესის ყველა პარამეტრი ზუსტად უნდა განვსაზღვროდ და ყველა ცვლილება რიცხვითი მნიშვნელობით დავახასიათოთ, ანუ გაზომვები ვაწარმოოთ.

ერთერთი პარამეტრია სითხის დონეების სხვაობა H , მეორე – მილის განიკვეთი. ორივე შეგვიძლია გავზომოთ საკმარისი სიზუსტით. მილში სითხის მოწესრიგებული მოძრაობა დავახასიათოთ პარამეტრით I , რომელსაც დენის ძალა ვუწოდოთ. ეს მილის განიკვეთის S ფართის ერთეულში დროის ერთეილში გასული სითხის რაოდენობაა. ექსპერიმენტის ჩატარება თვისობრივად და რაოდენობრივად იძლევა შემდეგ კანონზომიერებას – დენი დონეთა სხვაობის პროპორციულია და მილის განიკვეთის უკუპროპორციულია: $I = k \cdot H / S$, სადაც k - მუდმივი კოეფიციენტია. ამ კანონზომიერებას ჩვენ ყოველდღე ვაკვირდებით, როდესაც ვაღებთ წყლის ონანს, როდესაც ვხედავთ ბანკში ოპერატორებთან გაზრდილ რიგებს ოპერატორების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში (ან პირიქით, ვერ ვხედავთ რიგებს, როდესაც ყველა ოპერატორი ადგილზე). ბანკში დროის ერთეულში შემოსული ფულადი მასა მცირდება.

გერმანელმა ფიზიკოსმა გეორგ ომმა ეს ამოცანა შეისწავლა ელექტრული დენისათვის, ან მუხტების მოწესრიგებული მოძრაობისათვის დენის გამტარებში.




გეორგ ომი 1787-1854



9.1.4

$$\begin{matrix} U \\ | \\ I \end{matrix}$$

$$R$$



9.1.5

ომმა მსგავსი კანონზომიერება მიიღო, რომელიც მისი სახელით, ომის კანონთ არის ცნობილი. განვიხილოთ ორი დამუხტებული სხეული (ნახატი 9.1.3). პირველი

სხეულის მუხტი ფლობს V_1 პოტენციალს, ხოლო მეორესი V_2 პოტენციალს. გავიხსენოთ, რომ ეს პოტენციალები იმ მუშაობის პროპორციულია, რომელიც საჭიროა მუხტების უსასრულოდ შორს გადასატანად, ანუ სხეულების განსამუხტად. უსასრულობის როლს ამ შემთხვევაში ასრულებს ელექტრული მიწა. დედამიწის ნიადაგი და ქანები ელექტრულ დენს ატარებენ. დედამიწაზე არსებული ელექტრული მუხტების მარაგი ჩვენს გარშემო არსებულ ნივთიერებაშია მოთავსებული. ტექნიკური თვალსაზრისით, დედამიწა წარმოადგენს ძალიან მოხერხებულ საერთო ელექტროდს, რომელიც უსასრულობის როლს ასრულებს.

როგორც წინა თავიდან ვიცით, მუხტის ერთი სხეულიდან მეორეზე გადასატანად უნდა შესრულდეს მუშაობა, რომელიც პოტენციალთა სხვაობის პროპორციულია, ანუ $V_1 - V_2$ სხვაობით არის განპირობებული. თუ ამ ორ სხეულს მუხტის გამტარით შევაერთებთ, მუხტის გადატანის პროცესი განხორციელდება. პოტენციალთა სხვაობა განსაზღვრავს განხილულ დონეთა სხვაობას, ხოლო გამტარის თვისებები აღძრული დენის ძალას. ომის კანონი ასეთი სახით ჩაიწერება:

$$I = (V_1 - V_2) / R = U / R$$

აქამდე ჩვენ არ ვიხილავდით ფიზიკურ პროცესს, რომელიც მოდელში განაპირობებს რეზერვუარების შევსებას, ანუ პოტენციალთა სხვაობის შექმნას და შენარჩუნებას. ასეთი სახით წარმოდგენილი კანონი ელექტრული წრედის მონაკვეთისათვის არის ფორმულირებული, ანუ ეს არის ომის კანონი წრედის მონაკვეთისათვის. პარამეტრიც U ძაბვის სახელით არის ცნობილი, ხოლო R - წინადობის სახელით. წინადობის სიდიდე განპირობებულია გამტარის ფიზიკური თვისებებით.

ომის კანონის ორი ფიზიკური კომპონენტი – დენის წყარო, ანუ პოტენციალთა სხვაობის მქონე კომპონენტი, და დენის გამტარი, ანუ წინადობის თვისების მქონე კომპონენტი, სიმბოლური აღნიშვნების სახით ნაჩვენებია 9.1.4 ნახატზე. აქვე ნაჩვენებია სამი პარამეტრიც (დენს ზოგჯერ პატარა ასოთი აღნიშნავენ). აქვე ნაჩვენებია დიაგრამა, რომელსაც ხშირად იყენებენ ომის კანონის დასამახსოვრებლად. დიაგრამით სარგებლობის წესი შემდეგია: თუ დაფარავთ საძიებელ სიდიდეს, ორი დანარჩენი იძლევა მისი გამოთვლის ფორმულას:

$$U = U \cdot R; \quad I = U / R; \quad R = U / I.$$

განვიხილოთ 9.1.5 ნახატზე წარმოდგენილი შემთხვევა. რადაც გარე ძალა ასრულებს მუშაობას პოტენციალთა სხვაობის შესანარჩუნებლად, ანუ წრედში დენის შესანარჩუნებლად. ეს შეიძლება იყოს ქიმიური რეაქცია, ან რაიმე სხვა სახის ფიზიკური ქმედება. ამ შემთხვევაში გაგაჩნია ე.წ. სრული წრედი, რომელშიც მეორე რეზერვუარში მოსული მუხტი თანმიმდევრულად ისევ გადაეცემა პირველ რეზერვუარს. მუხტის ამდაგვარი სახით გადატანასაც გააჩნია წინადობა, რომელსაც ავღნიშნავთ r_0 . სრული წრედის შემთხვევაში პოტენციალთა სხვაობა გარე ელექტრული ძალის შექმნელი მოწყობილობის კიდევ ერთი პარამეტრის ტოლია, რომელსაც დაარქვეს ელექტრომამოძრავებელი ძალა. განხილული შემთხვევისათვის საუბარი უნდა იყოს ომის კანონზე სრული წრედისათვის. ეს კანონი ასე გამოისახება:

$$I = E / (R + r_0).$$

E - დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალაა, ხოლო r_0 მისი შიდა წინადობაა. ელექტრული დენის წინადობის არსებობა ყოველთვის ენერგიის დანაკარგებთან არის დაკავშირებული. ენერგია სხვა ფორმაში გადადის, როგორც წესი ე.წ. ომური წინადობის შემთხვევაში (ომის კანინი სრულდება),


ენერგია სითბოში გადადის. თუ განვიხილავთ ომის კანონს ასეთი სახით: $E = I \cdot R + I \cdot r_0$, დავინახავთ, რომ სასურველია დენის წყაროს შიდა წინადობა რაც შეიძლება მცირე იყოს მის შიგნით დანაკარგების თავიდან ასაცილებლად და მუშაობის მარგივი ქმედების ასამაღლებლად.

არსებობს რამდენიმე ტიპოს ელექტრომამოძრავებელი ძალის მქონე წყარო, რომლის შიდა წინადობა უსასრულოდ დიდია. ეს ეგრეთ დენის წყაროებია. ისინი დატვირთვაში, ანუ ელემენტში რომელშიც დენი მუშაობას ასრულებს, ყოველთვის ერთი და იგივე სიდიდის დენს გამოყოფენ. ამ შემთხვევაში მუშაობს ომის კანონი წრედის მონაკვეთისათვის. გვაქვს $I = U / R = const$, საიდანაც გამომდინარეობს, რომ დატვირთვის წინადობის გაზრდა იწვევს ძაბვის გაზრდას $U = I \cdot R$.


ომის კანონში მონაწილე ყველა პარამეტრს გააჩნია თავისი ზომის ერთეული, ეს ელექტროტენიკის, ანუ ელექტრული ტექნოლოგიების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვალი დარგის ძირითადი კანონია.

დასახელება	აღნიშვნა	ზომის ერთეული
დენის ძალა	I	ამპერი
ძაბვა (პოტენციალის სხვაობა)	U	ვოლტი
წინადობა	R	ომი

ელექტრომამოძრავებელი ძალა სხვადასხვა ბუნების შეიძლება იყოს. დედამიწაზე არსებული ბუნებრივი მოვლენა – ელვა, უმდლავრესი ელექტრული განმუხტვის შედეგია. ატმოსფერული ღრუბლების ფორმირების პროცესში მუშაობს ელექტრომამოძრავებელი ძალა, რომელიც ყოფს მუხტებს. განხილული მოდელის ანალოგია რომ წარმოვიდგინოთ, ქმნის სხვადასხვა ნიშნის მუხტების რეზერვუარებს. დენი შეიძლება თვით ღრუბელში გაჩნდეს, შეიძლება ღრუბელსა და მიწას შორის, მეზობელ ღრუბლებს შორის. ვარიანტები ნაჩვენებია ნახატებზე. ელვის შემთხვევაში გამტარის როლს ასრულებს თვით ატმოსფეროში მაღალი ძაბვით გაჩენილი ე.წ. გარღვევის არხი.



9.1.6



9.1.7




9.1.8

წინა თავის დასაწყისში ჩვენ ხახუნით დავმუხტეთ კოკტეილის ჩხირი და გადავეცით მუხტი ელექტრომეტრს. ამ შემთხვევაში ჩვენ გავხდით ელექტრომამოძრავებელი ძალის ნაწილი. განხილული ორი შემთხვევა ძალიან განსხვავდება სიმძლავრით და მექანიზმით. არსებობენ უფრო მძლავრი და უფრო სუსტი მექანიზმებიც. ტექნოლოგიაში ელექტრული მუხტების დაგროვების და

გადატანის უამრავი ხერხი შექმნა. საუკეთესო, მაღალი მარგივი ქმედების, იაფი და მოხერხებული ტექნოლოგიების ძებნა და დახვეწა მუდმივად მიმდინარეობს.

როდესაც ომის კანონზე ვსაუბრობთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ელექტრომამოძრავებელი ძალა ავსებს მუშაობის შესრულების შედეგად გაჩენილ დანაკაგებს და უცვლელად ინარჩუნებს პოტენციალთა სხვაობას. როდესაც ჩვენ ვსარგებლობთ ელექტრომომარაგების ქსელით – ვიყენებთ უზარმაზარი მაშტაბის „წარმონაქმნს“, რომლის მირითადი დანიშნულებაა სწორედ მომხმარებლის ელექტრული დენით სარგებლობის იზრუნველყოფა და პოტენციალთა სხვაობის შენარჩუნება. ამ ამოცანის შესასრულებლად უამრავი სხვადასხვა სახის ელექტრომამოძრავებელი ძალის მქონე დენის წყარო ერთ ქსელშია გაერთიანებული (ჰიდრო-, თბო-, ატომური, მზის და სხვა სადგურები გადამცემ ხაზებთან და გამანაწილებელ ქვესადგურებთან ერთად).

როდესაც ავტომომიურ დენის წყარის ვიყენებთ, იგივე ამოცანის – პოტენციალთა სხვაობის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტა გვიწევს. ამისათვის არის გამოგონილი ბატარეები და აკუმულატორები.



ზოგადად ისინი წარმოადგენენ ორ ელექტროდს, რომლებიც მოთავსებულია ქიმიურ ხსნარში – ელექტროლიტში. ნახატზე ნაჩვენებია სიმბოლური აღნიშვნაც – ელემენტი (A) და ელემენტებისაგან შედგენილი ბატარეა (B). დამუხტვის დროს გენერატორის ელექტრომამოძრავებელი ძალა ასრულებს სამუშაოს. ელექტრონები გროვდებიან ერთერთ ელექტროდზე ისეთი რაოდენობით, რომელსაც ითვალისწინებს აკუმულატორის ერთერთი პარამეტრი – ტევადობა. დატვირთვის მიერთების დროს თვითონ აკუმულატორი ხდება ელექტრომამოძრავებელი ძალის მქონე ხელსაწყო და ინარჩუნებს დატვირთვაზე პოტენციალთა სხვაობას. თვითონ ელექტროლიტი და მასში დამუხტვის და განმუხტვის დროს მიმდინარე ქიმიური პროცესი რეგულატორის როლს ასრულებს პოტენციალთა სხვაობის შენარჩუნების პროცესში. როდესაც აკუმულატორი დატვირთვაზე მუშაობის შედეგად „გადაიმუხტება“ და მისი ელექტრომამოძრავებელი ძალა შესუსტდება, ისევ უნდა მივმართოდ გენერატორს და აღვადგინოთ საწყისი მუხტი. აკუმულატორებში მიმდინარე განმუხტვის პროცესი უკეთევადია, ბატარეებში კი არა. მათი კონსტრუქცია და ელექტროლიტის შემადგენლობა არ ითვალისწინებს დამუხტვის პროცესის უზრუნველყოფას.


9.2 კირჳოფის კანონები

9.1.4 ნახატზე წარმოდგენილი იყო უმარტივესი ელექტრული წრედი – ელექტრომამოძრავებელი ძალის მქონე წყარისთან მიერთებულია დატვირთვა,


რომელშიც გადის პოტენციალთა სხვაობით გამოწვეული დენი. უფრო რთულ წრედებში შესაძლებელია რამდენიმე სხვადასხვანაერად ჩართული დატვირთვა იყოს. ასეთ წრედში დენები და ძაბვები გადანაწილდებიან. მათი მნიშვნელობები განპირობებული იქნება დატვირთვების წინაღობების სიდიდეებით. გუსტავ კირპოფმა, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჩამოაყალიბა ორი მეტად მარტივი და ნათელი დებულება. დღეს ორივე მის სახელს ატარებს, და კირპოფის პირველი და მეორე კანონის სახელით არიან ცნობილები.

პირველი კანონი ესება დენებს. რთულ წრედებში ყოველთვის გვაქვს რამდენიმე კვანძი, რომლებშიც ერთმანეთს უერთდებიან დატვირთვები. აშკარაა, რომ კვანძში შესული ყველა მუხტი ამ კვანძიდან გამოსული მუხტების ტოლია. კვანძში მუხტები არ ჩნდებიან და არქრებიან მუხტის შენახვის კანონის გამო. აქედან გამომდინარე, პირველი კანონი გვეუბნება – კვანძში შესულ დენთა ჯამი გამოსულ დენთა ჯამის ტოლია, ანუ დენების ალგებრული ჯამი ნულის ტოლია. იგულისხმება კვანძში შესული და გამოსული დენი სხვადასხვა ნიშნისაა.

$$\sum_{j=1}^n I_j = 0.$$



9.2.1



9.2.2



გუსტავ კირპოფი

ასე რომ არ ყოფილიყო, კვანძებში მუხტი დაგროვდებოდა ან დაიკარგებოდა, რაც არ დაიკვირვება.

მეორე კანონი არანაკლებ მარტივია და თვალსაჩინოა. ნებისმიერ რთულ წრედში შეგვიძლია გამოვყოთ მარტივი ჩაკეტილი კვერცხები – ე.წ. კონტურები. ამ მარტივ წრედებში დენი სხვადასხვანაერად განაწილდება. თითოეულ ასეთ წრედში ელექტრონები ან იძენენ ენერგიას (მაგალითად ბატარეისაგან), ან კარგავენ დატვირთვაზე. კირპოფის მეორე კანონი გვაუწყებს:

ელექტრული წრედის ნებისმიერ ჩაკეტილ კონტურში ელექტრონების ენერგიის მატება ნულის ტოლია.

ამ კანონსაც გააჩნია მარტივი ფიზიკური ინტერპრეტაცია – თუ კანონი არ სრულდება, მაშინ ელექტრონები ამ ჩაკეტილ ქვეწრედში დამატებით ენერგიას იღებენ ან კარგავენ. პირველ შემთხვევაში მივიღებთ მუდმივ ძრავას, მეორეში დენი სულ მიღებადი იქნებოდა, რაც წრედებში არ დაიკვირვება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტურის შემოვლისას პოტენციალი უბრუნდება საწყის მნიშვნელობას.

განვიხილოთ რას გვაძლევს ეს ორი კანონი ელექტრული წრედების ანალიზის თვალსაზრისით. პირველ შემთხვევაში განვიხილოთ წრედი, რომელიც წარმოდგენილია 9.2.1 ნახატზე.